

ქ.თბილისი

2017 წლის 12 აპრილი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 12 აპრილს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის მოწვევით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: სულხან სულხანიშვილი, მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია და ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურის გ. სუთიაშვილის ოქმი, მატჩის მთავარი მსაჯის ს. ლომსაძის მიმართვა და საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის განმარტება, ამა წლის 7 აპრილს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის კალენდარულ მატჩზე თბ „ლელო 2“-სა და თბ „ხომლი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თამაში ჩაიშალა თბ „ხომლი“-ს მწვრთნელის დ. ცხვედიანის გამოისობით, რომელმაც დაგეგმილ მატჩზე გამოცხადებული გუნდი არ გამოიყვანა სათამაშოდ.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.18 და სადისციპლინო კოდექსის დანართი №1 - ის 1.17 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ „ხომლს“ ჩაეთვალოს წაგება და დაჯარიმდეს 2 000 (ორი ათასი) ლარით, ხოლო მოწინააღმდეგე გუნდს ჩაეთვალოს ზონუსქულიანი მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0.
2. კლუბ „ხომლი“-ს მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1 - ის 1.17 პუნქტი და კლუბ „ხომლს“, ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 10 (ათი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მირიან თავზარაშვილი/